1993/2

4 1993

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკი

ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის ჟურნალი

— მხატვრულ ფილმს იღებენ?
— არა, დოკუმენტურს!

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა ჟ. სიხარულიძისა

ტრომბონი

— ექიმო, სიმართლე მითხარით, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ?

— გამაგრდით და, ზუსტად იმდენ ხანს იცოცხლებთ, რამდენსაც გეტყვით!..

— თქვით, თქვით!..

— სამი დღის სიცოცხლეღა დაგრჩენიათ!

პაციენტს შიშისაგან გული გაუსკდა და მოკვდა.

— ეჰ, ვერ გამაგრდა! — უკმაყოფილოდ გადააქნია თავი ექიმმა.

* * *

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ტრომბონი. იმ ტრომბონის პატრონი მუსიკოსი იყო და თავისი ოსტატობის სრულსაყოფად საკუთარ ბინაში ყოველდღიურად 6-7 საათის განმავლობაში ინტენსიურად ვარჯიშობდა. შეზობლად კი ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელსაც ამ ქვეყანაზე ყველაფერი მოსწონდა... ტრომბონის გარდა.

ჰოდა, ახლა მეზობელი ციხეში ზის!..

ტრომბონი კი... ტრომბონი პატრონს ჩააყოლეს!..

გურამ ინასარიძე

ნახ. მ. აბაშიძისა

ფრანგული სიიები

ჯიხაურიდან

ჩვენი ჟურნალის ავტორმა ავთანდილ ციხაძემ დაამთავრა დიდი სპარსელი პოეტის ომარ ხაიამის რობაიების ახალი თარგმანი. გთავაზობთ რობაიათა ერთ ნაწილს.

შაბანის თვეში გვეკრძალება ქეიფი, ტაში,
რაჯაბის თვეშიც ღმერთს შევცოდავთ, თუ
გვნახეს სმაში;
მოდი, მოვეშვათ ღმერთების და მოციქულთ
თვეებს,
რამადანი ხომ ჩვენი თვეა, დავლიოთ მაშინ!

* * *

სატრფოს, ვის გამოც გული მტკივა ახლა
ძალიან,
თავის დარდი აქვს, ჩემთვის უკვე აღარ
სცალია;
ჩვენმა ექიმმა აბა მე რა უნდა მიშველოს,
თვით ავად არის და არ შველის, რაც კი
დალია.

* * *

ლოთი არა ვარ, თუმც უღვინოდ დღეც ვერ
დავყავი,
მე მხოლოდ ჯამთან მიყვარს ბრძოლა,
აყალმაყალი;
მინდა იცოდე: ღვინოს მისთვის ვეთაყვანები,
რომ მეც შენსავით საკუთარ თავს არ ვცე
თაყვანი.

* * *

არ არის სწორი, თითქოს ღმერთი სულ
სასჯელს ეძებს,
თუმც ცოდვილნი ვართ, ჩვენს შენდობას ის
მუდამ შეძლებს;
დღეს თუ ღვინისგან გალეწილი ფეხებს
გაფშიკავ, —
ხვალ დასალპობად გამზადებულს შეუნდობს
შენს ძვლებს.

* * *

ვინც ამა ქვეყნად აჰყოლია გონების ხმასა,
ვერრას მიაღწევს, ძროხის ნაცვლად
მოწველის ხარსა;
უმჯობესია ქვეყანაზე ბრიყვად იარო,
რადგანაც ჭკუით, დიდი-დიდი, იყიდო პრასა.



— მართალი ყოფილა რომ ამბობენ: საავადმყოფოში ავადმყოფი აქ, ვერ გავიგე — წამალი ჩვენ არა გვაქვს, კედლებიც კი ჰკურნავენო, თორემ რისთვის მოჰყავთ ეს საჭმელი და თეთრეული!

ახალი ამბები

კომერციულ მაღაზიებს შეემატა ახალი ობიექტი — „თხის კუდი, მაჩვის კარაქი". აქ ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება იმერული კორკომელი, კახური უნაბი და გურული ჭლაკვი.

* * *

იმის გამო, რომ ავტობუსებში, ტროლეიბუსებსა და გაჩერებებზე გახშირდა ორი თითით ჯიბეების ჩხრეკა, მკერავებს ვურჩევთ, შარვლებს ჯიბეები წინ დაუკერონ, ან საერთოდ არ დაუკერონ!

* * *

ასოციაცია „ბალი ათი შაური" საკარმიდამო ნაკვეთებში კრეფს ტყემალს. ასოციაციის წევრები აკეთებენ დიდძალ ფულს, ხოლო მისი თავმჯდომარე ვითომ ბალზე ზის და ტყემალს ჭამს.

* * *

თბილისის ერთ-ერთ სახინკლეში უცნობმა მოქალაქემ ხინკალში, მოხარშული ცომისა და მცირეოდენი მწვანილის გარდა, აღმოაჩინა ოცი გრამი ხორციც!.. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ის მოქალაქე იქნებოდა ან ელამი, ან მთვრალი და ყოველივე ეს მოეჩვენებოდა.

* * *

სასიხარულო ცნობა მივიღეთ თურქეთიდან: შევცოდებივართ გაჭირვებაში მყოფი ქართველები და გამოუგზავნიათ აქედან ჩატანილი ორასი ტონა სპილენძი!.. ტვირთი ამჟამად გზაშია და მალე შემოვა თბილისში!

* * *

სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ვინმე დაბრუნდაშვილი, რომელიც უკვე მესამე თვეა მოყვრებში ქეიფობს. მოყვრებს ვთხოვთ, დაბრუნდაშვილის ადგილსამყოფელი არ შეატყობინონ მის ცოლ-შვილს!

* * *

უნივერსამ „გამოფხეკილში" ოცდასამი წლის ახალგაზრდამ პურის ყიდვის დროს რიგი დაუთმო მოხუც მანდილოსანს. ქალს, გაკვირვებისა და სიხარულისაგან, გული წაუვიდა და იქვე ჩაიკეცა!..

* * *

საკარმიდამო ნაკვეთში დაიკარგა: ორსართულიანი სახლი, გარაჟი, „გაზ-24", ტრაქტორი, „კამაზი", ქათმებისა და ღორების სადგომი, თივის ზვინი და საპირფარეშო!.. მნახველებს ვთხოვთ მისი ადგილსამყოფელი გვაცნობოს პრესის საშუალებით, ან დაგვირეკოს ტელეფონით: 00-00-00.

ვანცინი

დიალოგები

— თუ იცი, როგორია ყველაზე თანამედროვე ენის გასატეხი ფრაზა?

— ?!

— თუშანი გაკაპიკებულა!

* * *

— რას ნიშნავს კონვერტირებული შანეთი?

— ?!

— კონვერტში ჩადებულ მანეთს.

დონ პედრო

პარიზის

გამოღმით მე ვარ, გაღმით — შენ,
შუა სისხლი ჩქეფს მდინარედ,
ხიდი ჩაგვიტყდა, მამული
ტირის ცრემლჩამომდინარე!..
მინდა, გაკოცო, შაკოცო,
მტრის სახეს ვხედავ მცინარეს!..
ღმერთო, მოგვხედე, გვაკმარე
დაბრმავებულებს, მძინარეთ!

ბეკა წერეთელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას შვრებიან ექიმები?
— ავადმყოფებს არჩენენ!
— რას შვრებიან ავადმყოფები?
— ექიმებს არჩენენ!

* * *

— სანდრო, წელან იქ რომ დინამიტებით თევზაობდნენ, რამდენი დაიჭირეს?
— სამი!.. ერთი გაექცათ!

* * *

— შვილო, ჯერ მამაშენი წავიდეს იმქვეყნად და მე დამტოვოს, თუ მე წავიდე და მამაშენი დავტოვო?
— ორივენი წადით, ოღონდ მე „მაყუთი" დამიტოვეთ!..

პაატა ოსეფაშვილი

სიმართლისტთა მომხრეევარ!

ამ უკუღმართ ცხოვრებას
ჩვენ გვიწუნებს აფრიკაც!..
შიდაუთანხმოებამ
ბევრი ერი აფხიკა!..
მტერი, ჩვენი ბრიყვობით,
კი არ იკლებს, იზრდება! —
ნუღარ ვითიშ-ვიყოფით
ოწს და იგრეკისტებად!..
ნუღარ ვიჭყლეტთ ტვინებსა
ერთმანეთის სამუსრად! —
კაცსა ვცნობდეთ ნიჭით და
გაივაკოს ნამუსმა!
კაცსა ვცნობდეთ ამაგით
და დღემუდამ გვაფიქროს, —
ვინ გვყავს ღირსი თამადის,
ტახტის, ვის ვსვამთ საფიხვნოს?!
წარხოცილი ნიშნებით, —
ყოფილის თუ ნამყოფის, —
ნუღარ გავითიშებით,
ხე შევიცნოთ ნაყოფით!
ნუ მკლავ შენი წესდებით,
თუ არ ვფიქრობ შენდარად,
თორემ მწარედ შეცდები,
როგორც ბევრი შემცდარა!
კვლავ ჩემს აზრზე ვმტკიცდები, —
რაც ვთქვი წელთა მომხრელმა, —
არ მწამს მე სხვა „ისტების",
სიმართლისტთა მომხრე ვარ!

ვაჟა ფიუკაშვილი
(ქ. გორი)

— შეიარაღებული მიდიხარ, კაცო, პარლამენტის სხდომაზე?
— შენ თუ გგონია, ნაკლები ომი მაქვს გადასახდელი!

ნახ. ჯ. ლოლუასი

თემა ფ. სიხარულიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— დღეს საშაბათია, დირექტორი არ ღებულობს.
— თუ არ მიმიღებს, აგერ ნახავ!

ნახ. ვ. კუციასი

— მამი, რა ჰქვია ახლა სსრკ-ს?
— ეხენგისტანი, შვილო.

ნახ. ვ. კუციასი

— აფსუს, ამ ხაჭაპურის ქვეყანაში ჰამბურგერს ანა-ჭაპურებენ!



— არ ჩახვიდე, აქ ჯერ ტყავს გაგვაძრობენ და მერე შეგვჭამენ!

ნახ. გ. ლომიძისა

თემა შ. სიხარულიძისა

საყვარელს თავი არა ტკივა

რეკავს ქალაქის ტელეფონი:

— შენი მთავრობა ისევ არ მუშაობს?

— კაი, თუ ძმა ხარ, როდის იყო, რომ მთავრობა მუშაობდა?!

— მაინც რა დაემართა?

— რა ვიცი, მგონი, აპარატია მოშლილი!..

— აპარატია მოშლილი?!.

— არა, თითქოს აპარატი ახალია, ამას წინათ გამოცვალეს კიდეც, მაგრამ ამ საქმეს კარგი, მცოდნე და გულისხმიერი სპეციალისტები ჭირდება, ასეთები კიდევ, ხომ იცი, სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი!

— კარგი ახლა, მთლად ნუ გადაწურე იმედი!

— შენ ღმერთმა ნუ მოგიშალოს იმედი, ამ აპარატს კი თუ რამე ეშველება, აღარა მგონია!

— მოიცა, მოიცა, რა აიჩემე, — მთავრობა არ მუშაობს, აპარატი მოშლილიაო?! შენ რომელ აპარატს გულისხმობ?

— მე? მე მთავრობის ტელეფონის აპარატს! შენ?

ტუუ!.. ტუუ!.. ტუუ!..

კობა გივიშვილი

ანექდოტი ანდერსენ „ევროპაში“

ერთს ზამთრის დღეში ვოლტერი როგორღაც ეწვია ერთ პოეტს, რომელსაც თავის-თავი მართლა დიდ პოეტად მიაჩნდა. პოეტმა მაშინვე აიღო თავის გრძელი პოემა და დაიწყო კითხვა. ვოლტერს ძალიან მოსწყინდა ამ უხეირო და უხამხი ლექსების სმენა. ამასთან შესცივდა კიდეც, რადგან ლექსების კითხვით გახურებულ პოეტს სრულიად დააავიწყდა ბუხარში ცეცხლის დანთება. პოეტმა ბოლოს, როგორც იყო გაათავა კითხვა, მიუბრუნდა ვოლტერს და ჰკითხა:

— როგორ მოგეწონათ?

— ჩემო მეგობარო! — უთხრა სიცივისაგან გაცრეცილმა ვოლტერმა, — თქვენს ლექსებში რომ ცოტა მეტი ცეცხლი იყოს, ან თქვენს ბუხარში ცოტა მეტი მაგისთანა ლექსები, მაშინ არც მე და არც თქვენ სიცივე არ შეგვაწუხებდაო!

* * *

ალექსანდრე დიუმას (შვილს) ერთი ცრუმორწმუნე დალაქი ჰყვანდა. ერთხელ, პარსვის დროს, ახალ წლის წინა დღეს, დიუმა ეკითხება რაღაცაზედ დაღონებულ დალაქსა:

— საყვარელო ოგუსტ, რა დაგმართნია?! რატომ ეგრე დაგიღრეჯია?!.

— ოჰ, — მიუგო დალაქმა. ჩემის ანგარიშით მეორედ მოსვლა იანვრის დამდეგს უნდა მოხდეს!

— ხუმრობ?!

— პატიოსნებას გეფიცები! —პირუტყვები დაიხოცებიან ორს იანვარს, ადამიანები კი — ოთხსა. აი, თორემ ჰნახავთ!

— ეგ ვერაფერი საქმე მომდის! მაშ, სამს იანვარს ვინღა მომპარსავს წვერსა? — უთხრა დიუმამ.

* * *

ერთხელ ბალზაკი, ეს სახელოვანი კაცი, იჯდა თურმე ერთს რომელიღაც პარიჟის ბულვარზედ ღრმად ჩაფიქრებული. მოვიდა ერთი მათხოვარი დედაკაცი და მოწყალება სთხოვა — გამიკითხეთ, სამი წვრილი ბალღი კისერზე მახვევიაო!

— თუ ეგრეა, ძირს ჩამოსხითო! — უპასუხა თურმე გულუბრყვილოდ სულ სხვა ფიქრებში გართულმა მწერალმა.

* * *

ერთხელ ჰერცოგინია ბულონიისამ მიიწვია თავის დროს განთქმული მწერალი საფრანგეთისა, ლესაჟი, და სთხოვა, — თქვენი ახალი ნაწერი წაგვიკითხეო! ლესაჟმა აღუთქვა და ჰერცოგინიამ დაუნიშნა საღამო და საათი. ლესაჟს როგორღაც მოუგვიანდა და ერთის საათით გვიან მივიდა. ჰერცოგინია წარბ-შეკრული დაპხვდა.

— თქვენ მთელი ერთი საათი დამაკარგვინეთო! — უთხრა მწყრალად ლესაჟსა.

— მაშ, თქვენო უგანათლებულესობავ, მე ერთის მაგიერ ორ საათს მოგაგებინებთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — ლესაჟი გამოტრიალდა და შინ წამოვიდა. იმ ნაწერს, რომელიც უნდა წაეკითხა, თურმე ორი საათი კითხვა მოუნდებოდა.

* * *

განთქმული იტალიის პოეტი დანტე ალიგიერი იძულებული იყო, ფლორენციიდან ვერონში გაქცეულიყო, სადაც თავად ალბოინ დე ლა ასკალე დანტეს უფრო ნაკლების პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე თავისს მასხარას. როცა დანტეს გააგონეს ეს ამბავი, მშვიდობიანად უპასუხა თურმე: „არც საკვირველია, ყველას თავისი ფერი და მსგავსი უფრო მოსწონსო“.

* * *

საფრანგეთის ცნობილი მწერალი ქალი მადამ სტალი და კიდევ მეორე ქალი ძლიერ მოსწონდა მინისტრს ტალეირანს. მადამ სტალს ძლიერ უნდოდა შეეტყო, ჩვენ ორში რომელი უფრო უყვარს ტალეირანსაო, და ერთხელ უთხრა: „მე და ის ქალი ორნივე ერთად რომ წყალში გადავვარდეთ, პირველად ხომ მე არ მომეშველებითო?“ — „იქნება ეგრეც მოხდესო, — უპასუხა ტალეირანმა, — რადგანაც, ჩემის აზრით, ცურვა თქვენ უფრო უკეთ უნდა იცოდეთო“.

* * *

ვილაცამ თავის ტრაგედია ვოლტერს გაუგზავნა და სთხოვა, ამ ტრაგედიაზედ შენი აზრი შემატყობინეო! ვოლტერმა პიესა წაიკითხა და ზედ დააწერა: „ასეთის პიესის დაწერა ისე ძნელი არ არის, როგორც თქვენის თხოვნის ასრულება და პასუხის მიცემაო“.

* * *

საფრანგეთის ისტორიკოსი პელისონი ლიუდოვიკო მეთოთხმეტის ისტორიასა სწერდა. ერთხელ ლიუდოვიკომ ჰკითხა:

— როგორ უნდა ასწერო ეხლა ჩემი და ქალბატონი მოსტესპენის კავშირი.

— მეფეო, — უპასუხა ისტორიკოსმა, — საჭიროა თქვენს ისტორიაში კაცური რამეც იყოს, თორემ ამ ისტორიას არავინ დაიჯერებსო.

* * *

ერთხელ ვოლტერი და პირონი წაიჩხუბნენ. მეორე დღეს ძლიერ ნაწყენი პირონი მივიდა ფეხ-აკრეფით ვოლტერის ოთახთან და კარებზედ ცარცით დააწერა: „მ ხ ე ც ი“. და ისევ უკან წავიდა. ვოლტერმა ეს დაინახა. ერთი საათის შემდეგ თითონ წავიდა პირონთან. პირონი სახტად დარჩა და თავაზიანად უთხრა: „შობრძანდით, ბატონო ვოლტერ! რისგან არის, რომ თქვენის მოსვლით გამაბედნიერეთ?“

ვოლტერმა უპასუხა: „დღეს დილით ჩემს კარებზედ ვნახე თქვენ მიერ დაწერილი თქვენი სახელი და ეხლა ვიზიტი გადაგიხადეთ!“

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



უსიტყვოდ

ჟურნალი „ნიანგი“, № 4 (1878). თებერვალი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.
მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე. სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჯაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ხართაია, რევაზ თვარა[...]
ძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), გოგი ლოშიძე, ნოდარ მალაზონია, რევაზ მიშველაძე, გოგი პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხა[...]
ხონია, ბეჟან სახარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი), მიხეილ ქვლივიძე, ლერი ჩანტლაძე, ჯანსუ[...]
ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ალეკო ჟინჟარაული. ტექნიკური რედაქტორი გიორგი დუნდუა. გადაეცა ასაწყობად 17. 03. 93 წ., ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 21. 06. 93 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. შეკვ. № 401. ტირაჟი 21.400. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ.
ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის № 0606. რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42. საკონტაქტო ტელეფონები: 93-49-32, 99-76-69. ინდექსი 76137.

ფასი 25 კუპ.